

მემატიონი

მთავარ კომიტეტის ოფისი

№ 551 საგზაბათი, აგვისტოს 21 1923 წ.

ქრისტიანული გაზეთი

ფასი 100,000

საქ. მემატიონი სოც.-ფედ.-თა სარეგ. პარტიის ზუგდიდის სამხრეთ კომიტეტი სამხრეთ კონფედერაციას

დღის წესრიგი:

- 1) საქართველოს და საბჭოთა ფედერაციის შინაური და საგარეო მდგომარეობა.
- 2) სამხრეთ კომიტეტის ანგარიში.
- 3) მოხსენებანი ადგილებიდან.
- 4) მიმდინარე საკითხები.
- 5) არჩევნები სამხრეთ კომიტეტისა და სარევიზო კომისიის.

ყოველი ორგანიზაცია გზავნის თითო დელეგატს. მრავალრიცხოვანი ორგანიზაციები გზავნიან 20 წევრზე თითო დელეგატს. დელეგატს ირჩევს ორგანიზაციის წევრთა საზოგადო კრება.

საქართველოს მემატიონი სოც.-ფედ. პარტიის სამხრეთ კომიტეტი სამხრეთ კონფედერაციას

დღის წესრიგი:

1. საბჭოთა ფედერაციის საგარეო და შინაო მდგომარეობა.
2. პარტიორგანიზაციების როლი საბჭოთა აღმშენებლობაში.
3. პარტიული მუშაობა.
4. დროებითი სამხრეთ კომისიის მოხსენება.
5. მოხსენებანი ადგილებიდან.
6. მიმდინარე საკითხები.
7. სამხრეთ კომიტეტის და სარევიზო კომისიის არჩევნები.

დელეგატები იგზავნება პარტიორგანიზაციების მიერ, ყოველ 20 წევრზე ერთი. ორგანიზაცია, რომელშიც ირიცხება 20-ზე ნაკლები ნამდვილი წევრი, მაინც გზავნის ერთ დელეგატს. ახალგაზრდათა ორგანიზაციებს უფლება აქვთ სათანადო ხმით თითო წარმომადგენლის გამოგზავნას.

კონფერენცია გაიხსნება საბჭოთა თეატრში, დღის 12 საათზე.
ს. მემატიონი ს. ფ. 3. სენაკის დრ. სამხრეთ კომ.

ყურადღების ცენტრი

გაზეთადებული არ იქნება თუ ვიტყვით, რომ დღეს მსოფლიო ყურადღების ცენტრად არის ქცეული საბჭოთა რესპუბლიკების სასოფლო-სამეურნეო გამოფენა.

როგორც ხაზს გადვამდგომნი ყურადღებით ექცევიან საბჭოთა რესპუბლიკების სამეურნეო ცხოვრების მაგნიტებს, რომ აქ ამოიკითხონ მშრომელთა ხელისუფლებით დაცემის დღეები, ისე ხაზს გადვამდგომნი დიდი ინტერესით ეპყრობიან სამეურნეო ცხოვრების მიმდინარეობას, რადგან აქ იქედება ეკონომიური ბაზა ძალა-უფლების შენარჩუნება-გამტკიცებისათვის.

სასოფლო სამეურნეო გამოფენას აქვს არა მარტო დიდი ეკონომიური მნიშვნელობა, არამედ პოლიტიკურიც.

გამოფენა მოგვცემს არსებული მდგომარეობის სურათს, რომელიც დღეს ახასიათებს ჩვენს სასოფლო-სამეურნეოს, დაგვანახებს მომავლის პერსპექტივებს და შესაძლებლობით გაავარაუდებს მშრომელი ხალხის ინტერესს მეურნეობისადმი, გაავრცელებს სამეურნეო ცოდნას (ექსპერსიების საშუალებით).

გამოფენა ხელს შეუწყობს საბჭოთა რესპუბლიკების მშრომელთა დაახლოვებას, მათი ეკონომიური ვითარების ურთიერთ გაცნობას, ერთმანეთის ვაგებებას და თანამშრომლობის გრძობის გაცხოველებას.

გამოფენა დაანახებს მშრომელთა მტრებს, კაპიტალის მფარველებს, რომ გამარჯვებული მშრომელი ბარიატრულ და სამოქალაქო ომში, ევროპის კაპიტალის გარეშე ახერხებს ქვეყნის სამეურნეო აღორძინებას, რომ სამეურნეო კრიზისიც გადატანდეს იქნება ენერგიული შრომით, თავადებული შემოქმედებით.

ევროპულ მოგზაურებს დღეს უკვე უკვირთ

წინასწარი მუშაობის გრანდიოზობაც. ისინი უფრო მეტად გაკვირვებულნი დარჩებიან გამოფენის მუშაობით. ბოლოსა და ბოლოს ბევრი „საკვირვებელი“ და „სასწაულები“ ანახა ევროპის კულტურ-ტრეგერებს საბჭოთა რესპუბლიკების მშრომელმა ხალხმა. ნუთუ საკვირველი არ არის „კულტურული“ ევროპელისათვის, რომ ჩამორჩენილმა ქვეყნებმა სოციალიზმის დროს აღმართა? განა საკვირველი არ არის, რომ მცირერიცხოვანი პროლეტარიატის სამშობლომ აიტანა დიდი და უმაგალითო რევოლუციონური ზრდილა, მუშებმა და გლეხებმა თავისი ხელით ააგეს ახალი ტიპის სახელმწიფო, რომელსაც არ იცნობდა არც პრეტეცია და არც თეორია? ვასაკვირი არ არის, რომ ბლოკადურ მდგომარეობაში ჩაყენებული ხალხი, ომისა და რევოლუციის მიერ დანგრეული მეურნეობის პირობებში, შალე რევოლუციის მე-6 წელს გადაიხდის და გრანდიოზულ სამეურნეო გამოფენას მართავს? ქვემარტად საკვირველი მოვლენაა ყოველივე ეს. ევროპის ბურჟუაზიას უფრო მეტ საკვირველს სიურპრიზსაც უმზადებს საბჭოთა რესპუბლიკები. ეს სიურპრიზია რევოლუციონური მუშაობის ხელმძღვანელობა დასავლეთში და აღმოსავლეთში, რომელმაც დღეს თუ ხვალ რევოლუციის საკვირველებაც უნდა ანახოს ევროპას.

სასოფლო-სამეურნეო გამოფენას, როგორც აღვნიშნეთ პოლიტიკური მნიშვნელობაცა აქვს. მსოფლიოს მშრომელი მასები დაინახავენ თუ რაოდენი ბრძოლა არის გაღებული რევოლუციონურ ფრონტის გასამარჯვებლად სამეურნეო სფეროშიაც. მსოფლიოს ყურადღების ცენტრი დღეს ეს გამოფენაა. ასეთივე ყურადღების ცენტრად უნდა ვაქციოთ ის შედეგებიც, რომელსაც მოგვცემს აღნიშნული გამოფენა.

გაზეთი „სტრიბუნა“ ღირს
თვეურად 2,500,000 მან.
ცალკე ნომერი ყველგან 100,000 მან.
რედაქცია და კანტორა: ტფილისი, სახაზლის ქუჩა, № 6
ტელეფონი 10-84.

განცხადების ფასი
1 გვ. 20 კაპ. ჩუქვანი ნომერი
4 15
სამხლომარტივ ტექნიკურ
1 გვ. 3,500,000 მან.
ტექნიკური 2,500,000 მან.

— საბჭოთა ფედერაციის დაარსების აღსანიშნავად საკავშირო ცაკმა გა-
ცხადდა ფართე ამნისცია.
— გერმანიის ახალმა მთავრობამ გააუქმა ფაბრიკა-ქარხნების კომიტეტი
და „ხუთმეტა კომისია“.
— გერმანიის ახალმა მთავრობამ განუსაზღვრელი დროით დაითხოვა
პარლამენტი.
— გერმანიაში დიდი მღელვარებაა ხიმშიალოვის ნიადნგზედ.
— ბელგიის შრომის რეფორმისტულ კონფედერაციიდან გავიდა 80,000
წევრი.
— როგორ დაატუსაღეს დე-ვალერა.

გერმანიის ახალი მთავრობის პოლიტიკა

ლონდონი. 18 აგვისტო. გერმანიის შინაგან საქმეთა მინისტრმა „გაუქმდა“ ფაბრიკა-ქარხნების კომიტეტების ცენტრალური კომიტეტი და მისი კომისიები, მათ შორის „ხუთმეტა კომისია“, რომელიც მოუწოდებდა საყოველთაო გაფიცვისა-
კენ და ხელმძღვანელობას უწყველად პროლეტარული ორგანიზაციების მუშაობას.

შინაგან საქმეთა მინისტრმა შესწავილა უქი-
დურეს ნაციონალიზმის გაზეთის „დინე ალგემე-
ინე ცეიტუნგ“-ის გამოცემა რესპუბლიკის წინააღ-
მდეგ გალაშქრებისათვის.

ბერლინი. 16 აგვისტო. ესენში და აახენში
მღელვარებაა სურსათის სიმციროს ნიადგზე. აახენ-
ში გამოცხადებულია საალყო წესები. ესენში მუ-
შებმა შესძლეს სასურსათო მაღაზიების გახსნა და
სურსათის გაყიდვა უფრო დაბალ ფასებში. დეტ-
ტალში, რეკლიმაციების მახლობლად, ქალაქის სა-
სურსათო მაღაზია დაიკავე ხალხმა. მოხდა სერიო-
ზული შეტაკება პოლიციასთან. ესენის მახლობელ
ადგილებში და რურის მიულ ოლქებში ძალით
იტაცებდნენ კარტოფილის მინდვრებიდან. მიუხედა-
ვად რურის სამთო-მადნო მუშების პროფკავშირის
მოწოდებისა, რომელიც მოითხოვდა უარი ეთქვათ
კომუნისტების ლოზუნგებზე და დაბრუნებულიყვნენ
სამუშაოზე, რადგანაც შტრეზემანის პოლიტიკა უფ-
რო ხელსაყრელი იქნება მუშებისათვის. რურში
დაბრუნდა მხოლოდ სამთო-მადნო მუშების უმნიშ-
ნელო ნაწილი.

მუშები მდგრადა იცავენ საკუთარ ინტერესებს.

ბერლინი. 17 აგვისტო. ტიურინგიაში, მწარ-
მოებელთა პასუხად, რომელნიც ლოკაუტით იმუქ-
რებოდნენ, მუშებმა დიკავეს მთელი რიგი დიდი
ქარხნებისა. საფაბრიკო ქალაქ შლოტ-ჰეიბში მუშებმა
დიკავეს ფოსტა, რკინის გზის სადგური და კერძო
მაშულები.

ბრაუნშვეიგში და ესენში მუშებმა დემონსტ-
რაციების საშუალებით აიძულეს ბრაუნშვეიგის მთა-
ვრობა 20 წევრისაგან შემდგარ პროლეტარულ სა-
კონტროლო კომისიისათვის მიენიჭებინა სახელმწი-
ფობრივი კონტროლირების უფლება. კასელ-
შიაც მთავრობამ იცნო პროლეტარულ საკონტრო-
ლო კომისია, რომელიც პოლიციასთან ერთად ახ-
დენს სასურსათო მარაგის აღრიცხვას. ბერლინის
ცენტრალურ საგაუიციკო კომიტეტის მოლაპარაკება
ზევერინგთან საკონტროლო კომისიების ცნობის
შესახებ, ჯერ-ჯერობით უშედეგოდ რჩება, ვინაი-
დან ზევერინგის აზრით, საკონტროლო კომისიები
უნდა მოეწყოს მხოლოდ პროვინციებში. და ლანდ-
რაუტელ და პოლიციის პრეფექტებს მიენიჭოს კომი-
სიის წევრთა დანიშნვის უფლება.

მახკოვი. 17 აგვისტო. გერმანიის ახალ მთა-
ვრობის შემადგენლობაში, რომელსაც თავმჯდომე-
რებს საშუალო ბურჟუაზიის წარმომადგენელი
შტრეზემანი, შევიდა 4 სოციალ-დემოკრატია—გილ-
ფერდინგი, რომელიც პროვინციებში და ლანდ-
რაუტელს. მათ შორის გილფერდინგი არის ფინანსი-
ური პოლიტიკის შემოქმედი, რომელსაც შედეგად
მოჰყვა გერმანიის მარკის კურსის კატასტროფული
დაცემა. ის მხარს უჭერს კოალიციის ბურჟუაზიას-
თან და უნდაბლად უტყვიოს რევოლუცი-
ონურებს. იღებს რა მის კანდიდატურას ფინანსთა მინ-
ისტრის თანამდებობაზე, ბურჟუაზია აკისრებს შე-
მთანხმებლებს მთელი პასუხისმგებლობას ფინანსი-
ურ მდგომარეობის შესაძლებელი გართულებისა-
თვის.

ზოლმანი.—რურის ოლქის გამოჩენილი სო-
ციალ-დემოკრატია, წამოყენებულია ოუსტიციის მინ-
ისტრის თანამდებობაზე რურის მუშებზე ზეგავლენ-
ის მოსახდენად. მისი დანიშვნა არის მუშებისათ-
ვის თვალების ახვევა, რადგან მას ენერგება ბევრი
ლაპარაკი.

ოუსტიციის მინისტრი რადბრუნე ცნობილია
მით, რომ უარი განაცხადა მარტის „ამბებში“ მონა-

წლელ მუშების ციხიდან განთავისუფლებაზე, ის, რა
თქმა უნდა, არ გაატარებს მემარცხენე პოლიტიკის,
თავდაცვის მინისტრი გესლერი არის ფაშისხის აშ-
კარა მომხრე. გესლერის მინისტრად დატოვება ამ-
ტყივებს იმას, რომ ახალი მთავრობა იქნება ძველი
რეაქციონური პოლიტიკის მატარებელი.

ბერლინი. 16 აგვისტო. გუშინ რეიხსტაგში
კომუნისტმა ჰერცფელდმა დაასაბუთა კომუნისტე-
ბის შეკითხვა და მოითხოვა ებერტის საგანგებო
დადგენილებების გაუქმება, რომელიც მიმართული
იყო კომუნისტურ პარტიის წინააღმდეგ; ჰერცფელდ-
მა განაცხადა, რომ ამ დადგენილებების ნაწილი,
რომელიც ეხება რევოლუციის მონაწილეობას კომუ-
ნისტურ პარტიაში, მიმართულია რადეკის წინააღ-
მდეგ. შეკითხვაზე პასუხი * გასცა შინაგან საქმეთა
ახალმა მინისტრმა, სოციალ-დემოკრატმა ზოლმანმა,
რომელმაც განაცხადა, რომ ახალი კანონი
სცნობს კუნოს მთავრობის ყველა დადგენილებ-
ებს.

კომუნისტების ძლიერი მხარობის დროს
ზოლმანმა განაცხადა, რომ მთავრობა თავს დიკავს
იმ ცდებისაგან, რომელიც მიმართულია მის ჩამო-
საგდებად და რომლისცენაც მოუწოდებს მუშებს
კომუნისტური პარტია. ზოლმანმა ვაილაშქრი სოფ-
ლის მეურნეობის მუშების გაფიცვის წინააღმდეგ
და ყოველგვარი დახმარება აღუთქვა სასოფლო-სა-
მეურნეო მიწვევლობას.

ბერლინი. 16 აგვისტო. რეიხსტაგი განუსაზღვ-
რელი დროით დათხოვნილია სოციალ-დემოკრატე-
ბის მოთხოვნაზე, იმის შესახებ, რომ მთავრობას
რწმუნება მიეცეს მიიღოს განსაკუთრებული იძულებ-
ითი ზომები იმ შემთხვევაში, თუ ენკენისთვის შუა
რიცხვებამდე ხელის მოწერა ოქროს სესხზე არ მი-
აღწევს 200 მილიონ ოქროს მარკას. რეიხსტაგის
დათხოვნის გამო განუხილველი დარჩება.

იჩლანდია.

როგორ დაატუსაღეს დე-ვალერი.

ლონდონი. 15 აგვისტო. დუბლინში გამარ-
თულ მრავალრიცხოვან მიტინგზე, რომელსაც და-
ესწრო 20,000 კაცი, დაპარტიზებული იქნა დე-ვა-
ლერა, რომელიც ჩამოვიდა ლაბერიკიდან მეგობრე-
ბის თანხლებით. ჩამოსვლისთანავე დე-ვალერა გა-
ვიდა ტრიბუნაზე და წარმოთქვა სიტყვა, ორი
წუთის შემდეგ გაისმა ძახილი: „საღდათები მო-
დიან“-ო. მოულოდნელად გამოცხადდა რაშიმ ჯავ-
შნიანი ავტობიომილით. ტრიბუნას ალყა შემოარ-
ტყეს, ქალები და ბავშვები პანიკამ შეიპყრო. დე-
ვალერა ჩამოვარდა, ტრიბუნაზე მყოფი ამახანავები
შემოეხვეწნენ მას გარშემო. ყველანა მივიპლენ მა-
ლაზიებსა და ბინებში, რადგან ჯარის კაცები ხიშ-
ტებით ემუქრებოდნენ მათ. სჩანდა, რომ დე-ვალერა
10 წუთის განმავლობაში იდგა ჯარისკაცებს შო-
რის, რის შემდეგ წაიყვანეს. გზაში ბევრი მუშები
შეეცადნენ მისთვის ხელის ჩამოართვეს, მაგრამ
ჯარისკაცები არავის არ უშვებდნენ ახლოს. დე-ვა-
ლერა წაიყვანეს სამხედრო ავტობომში.

თავის სიტყვაში მან მხოლოდ იმის განცხადე-
ბა მოასწრო, რომ მას არ მიუძღვის ბრალი მოძე-
თა შორის სისხლის ღრებში. ეროი რომ შეკავშირე-
ბული ყოფილიყო, ირლანდია მოიპოვებდა თავისუ-
ფლებას! სიტყვა მან, ტრიბუნაზე იმყოფებოდნენ
კოლლაგანი და დე-ვალერას შვილი. მოკლული არა-
ვინ აღმოჩნდა, დაჭრილია 6 კაცი.

პარიზი. 16 აგვისტო. ბელგიის შრომის რე-
ფორმისტულ კონფედერაციიდან გავიდა 80,000
წევრი, რომელთაც არ აკმაყოფილებდა კონფედ-
რაციის პოლიტიკა, რომელიც იხრებოდა ბურჟუა-
ზიის მხარეზე. მემარცხენე ელემენტები ცდილობენ
ჩამოაშორონ შეკავშირებული მუშათა მასები რე-
ფორმისტულ კავშირებს და შექმნან პროფკავშირე-
ბი, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან პოლიტიკურ
პარტიებისგან.

42 ხახლის გადაცემა. ქალ. აღმასკომის შვირე პრეზიდიუმმა დაადგინა გადაეცეს, საბინაო მუშათა კოოპერაცივს 42 ხახლი.

ბავშვთა ავადმყოფობის კაბინეტი. აღმასკომის დადგენილებით გადაწყვეტილია ქუჩის საავადმყოფოში ბავშვთა ავადმყოფობის ცალკე კაბინეტის დაარსება სადაც მოწვეული იქნება სპეციალური ექიმები.

სავალდებულო დადგენილება. აღმასკომის განმარტოლობის განყოფილებამ დაადგინა: გამოსცეს სავალდებულო დადგენილება გამაგრილებელ სასხელების დასამზადებელ ქარხნის შესახებ, რომელთაც უნდა ზედამხედველობდნ პროფიზორები და ქიმიკოსები, სასხელების ქურჭლებზე აღნიშნული უნდა იყოს, შეჭრით არის ის სასხელი თუ სახარინით.

ვაჟქმეზულ საცეკვაო სკოლების შენობის გადაცემა ხახლის პატრონებზე. ქ. აღმასკომმა დაადგინა: ვაჟქმეზულ საცეკვაო სკოლების სახელი პატრონებზე გადაეცემა იმ შემთხვევაში, თუ ხსენებული სახლების შეღავათიან მდგომარეობა რიცხვი აღემატება 35 პროც.

ჩერვონების გამოსაცვლელი კახსა. ამიერ-კავკასიის სახელმწიფო ბანკში გაიხსნა სპეციალური კასა ჩერვონების გამოსაცვლელათ ამიერ-კავკასიის ფულის ნიშნებზე.

შრომის ბირჟა. 18 შრომის ბირჟაში გამოცხადდა 660 უმუშევარი, ჩაეწერა 124, მოთხოვნილება იყო 66 კაცის, გაიგზავნა 66 კაცი.

სრულიად რუსეთის პროფკავშირთა ცენტრალურ საბჭოს მომავალ პლენუმის დღის წესრიგი. სრულიად რუსეთის პროფკავშირთა ცენტრალურ საბჭოს პლენუმზე მოსმენილ იქნება შემდეგი მოხსენებები: 1) შრომის ხელფასის პოლიტიკის შესახებ; 2) განათ. სახ. კომისიის (ამხ. ლუნინარსკის) მოხსენება; 3) კავშირებს საორგანიზაციო ამოცანები რ. ს. ფ. ს. რ. რაიონებათ დანაწილებასთან დაკავშირებით მომხსენებელი ამხ. ანტიპოვი; სრულიად რუსეთის პროფკავშირთა ცენტრალურ საბჭოს მიერ პროფინტერში მივიღებულ წარმომადგენლის (ამხ. ლოხოვსკი) მოხსენება; 5) უმუშევრობის შესახებ; 6) სოც. ლაზვევის შესახებ; 7) შრომის ინსტიტუტის მოხსენება (მოხ. ამხ. გასტევი) და 8) მიმდინარე საქმეები.

საქმეზი

სოფ. სავაზავო. შაბათს 11 აგვისტოს დღის 1 საათზე შესდგა სოფ. სავაზავოს მემარცხენე სოციალისტ-დემოკრატიული უჯრედის საერთო კრება.

მოხსენებლად გამოვიდა ამხ. მუშაშვილი, რომელმაც ვრცლად გააცნო დამსწრე საზოგადოებას საერთაშორისო მსოფლიო მდგომარეობა, გააცნო თუ როგორ შეტყუებული სდგას მუშათა ინტერესების დასაცავად თავის სადარჯოზე საბჭოთა ხელისუფლება, რომლის მიზანდა მიხსწრაფვის მსოფლიო მშრომელ მასის მდგომარეობის გასაუმჯობესებლად. ამხ. მომხსენებელი თითქმის ორ საათს ლაპარაკობდა ამ თემაზე, მდამიო და გასაგებ (მეგრულ) ენით, რის გამოც დამსწრე საზოგადოებამ იგი მხურვალე ტაშით დააჯილდოვა.

შემდეგ ადგილებიდან იყო შეკითხვები, რომელზედაც ამხ. მუშაშვილმა გასცა სათანაო პასუხი შესაფერის განმარტებით. დაბოლოს უჯრედის თავმჯდომარემ გააცნო ამხ. მუშაშვილს უჯრედის მდგომარეობა, გულმტკივნეულად შესწივლა, რომ უჯრედი მოკლებულია ლიტერატურას და სთხოვა ამ მოკლე დროში შესაძლებლობის დაეგარად მოაწოდონ უჯრედს ასეთი. ამხ. მუშაშვილი შეპირდა ამ მოკლე დროში ყველასფრის მოგვარებას, რაც უჯრედს ესაჭიროება.

კრება დაიხუტა საღამოს სრულ ოთხ საათზე, ვიმედლოვნებთ ამ მოკლე დროში სისრულეში მოყვანილ იქნება დაპირებები.

ალატონ ჯვარიშელი.

პროვინციულ პერაალთა ხგა

(მიმართვა საქართველოს ებრაელთა შორის სწავლა განათლების და ებრაულ კულტურის გამავრცელებელი საზოგადოების „თარბუთის“ გამკვობას).

• დღეს, როდესაც ყველაფერი ძველი დროის, საშუალო საუკუნეებისგან დარჩენილი ნაშთების სრული ლიკვიდაცია ხდება, ეტლება ნიადაგი და საფუძველი საუკუნობრივ უსუსმართობას, სტიქიური ნანგრევებ ქვეშ ითლება ქანდარმული პოლიტიკა ძველი თვითმპყრობელობისა, — დღეს, როდესაც მუნჯემაკი კი ხმა ამოიღო და დაამხებრია დღეს:

საქართველოს მიღაყოაგვი.

სამეცნიერო ეკსპედიცია მყინვარზე.

1. მწაღება.

დიდი მწაღება თეზიკურ ობსერვატორიაში. დაწყებული ობსერვატორიის ზეფუროსიდან, პროფესორ ალექსანდრე დიდებუმიძიდან, უკანასკნელ თანამშრომლამდე ყველა ფაქტაფუტშია მწაღდება რ სწორდება იარაღები, ხელსაწყოები, ზოგი პატრწწვე-ზომის (ბარომეტრი) ასწორებს, ზოგი წწწწწწწ (ბაროგრაფს), ზოგიც თბიზომს (ტერმომეტრს) და ქარზომს (ანემომეტრს). ერთი სიტყვით—ყველას ემწაღებიან, ემწაღებიან ხალისით, გულოდგინით. ყველა გაფაციცებით მოელის გამგზავრების დღეს, ყველას ერთგვარი სიხალისე იტაცებს, ერთგვარ გამჭრიახობას და დაკვირვებას იჩენს თავის ხელსაწყოადმი, რომელიც მას აბარია.

საერთოდ უკანასკნელ ხანებში ობსერვატორიის გამოცოცხლებული მუშაობა კიდევ უფრო გაცხოველებულია, უფრო გახალისიანებულია. ასეთი მნიშვნელოვანი ეკსპედიცია, სამეცნიერო მოგზაურობა საქართველოს ერთ ერთ უდიდეს მთაზე, სახელდობრ მყინვარზე, რომლის სიმაღლე 17 ათას ფუტამდე აღწევს და სადაც მუდმივი თოვლ-ყინულია, მუდმივი შამთარ—ცხადია ასეთი მოგზაურობის მოლოდინში ყველას ეტყობა სიცოცხლე, სიხარული, რაც საერთო მუშაობასაც ხელს უწყობს და მთლიანად აცოცხლებს მუშაობას იმ დაწყებულღებისას, რომელიც მთავარ ბანაკად გადაქცეულია გამგზავრების წინ მყინვარის მწვერვალზე.

მყინვარისაკენ გამგზავრება და ისიც სამეცნიერო მიზნით, სახელდობრ მყინვარის მიდამოების მაგნიტურ და გეოფიზიკურ გამოკვლებისათვის, — ეს ერთი მხრით; მეორე მხრით კი მოგზაურობა სამხედრო ქართული გზით ტფილისიდან სტეფანწმინდამდე არაგვისა და დარიალის ხეობით, გულაურის უღელტეხილი, მათი მიდამოები, საერთოდ საქართველოს ერთ უმშვენიერეს კუთხის გაცნობა; მასთანვე თვით ბუნების ცვალებადობა: სულ მცირე ხანში ზაფხულის სიხარითიდან ზამთრისაში გადასვლა — ულამაზესი ეს უმკვილეა ყველა წამსვლელისათვის და სასიამოვნო საგრძნობელია, ბევრი რამის აურაცხელ გრძობა—შთაბეჭდილებათაა.

• ხარ—ო. მეუბნებიან ამხანაგ — მე-ბედნიერი ვარ, რომ მივიგზავ-

მილის ბორკილები, როდესაც ყველამ თავის დროსაზე წააფერა: „ყოფნა-არყოფნა“,—აი სწორედ დღეს, ასეთ სახედისწერო მომენტში, ჩვენ პროვინციული ებრაელები სხანარულით აღფრთოვანებულნი შევგებებთ ქ. ტფილისში „თარბუთის“ დაარსებას.

მთელი თვეების განმავლობაში ჩვენ გულის ფანქრებით მოველოდით საბჭოთა მთავრობის სათანადო ორგანოებიდან ჯგეროვან პასუხს ამ წრის ლეგალიზაციის შესახებ; ჩვენ იმედი გვქონდა სპეციების ჩვენდა სასარგებლოდ გადაჭრისა და ჩვენ-ვერები. მყინვარისაკენ იმ სამეცნიერო ეკსპედიციასთან, რომელიც როგორც ასეთი, პირველი ეკსპედიციაა მყინვარისაკენ საერთაშორისო ზომისადრით და პირველია ჩვენს ქვეყნის ზომისადრითაც.

ეს არის საერთოდ პირველი სამეცნიერო ეკსპედიცია და მასთანვე პირველი, რომელსაც აწარმოებს საქართველოს ფიზიკური ობსერვატორია და ობსერვატორიის ხომ განათლების კომისარიატის საშვალებით პირდაპირი კავშირი აქვს ჩვენ ნორჩ ქართულ უნივერსიტეტთან, რომლის წარმომადგენელიც პროფესორი დიდებუმიძე, ობსერვატორიის ზეფუროსი, მთავარი ხელმძღვანელია ამ სამეცნიერო ეკსპედიციის.

ბედნიერი ვარ იმითი, რომ ეს არის წმინდა ქართული ეკსპედიცია, უნივერსიტეტის თანამშრომელთა კრებული, მეცნიერების თავყანისმცემელი, რომელთაც მიზნათ დაუსხაზეთ სამშობლოს შესწავლა, მისი ბუნების ყოველმხრივი გაცნობა და გამოკვლევა, რომელთაც მოუწადინებიათ მშობელ მეცნიერების წინსვლა და ამ რიგად თავის სამეცნიერო ტაძრის ჩაყენება სხვა ქვეყნის სამეცნიერო უკვე ცნობილ ტაძართა შორის.

ბედნიერი ვარ იმით, რომ მიხდება საქართველოს იმ უმშვენიერეს კუთხის შესწავლა—შეთვისება, სადაც

„... მალა ყსბეგი თეთრად წასულა ზემით, გამეფებულა; თამაში სრბოლა მისი უეცრად იქ ძლიერ სიტყვით შეყენებულა.“

(ილ. ჭავჭავაძე, „აზრილი“. თხზ. 1 ტ. 513 გვ.)

სადაც „... თერგი მრისხანე, თერგი ბღღვივარე რა აღქაფებულ ზვირთ მოაქანებს, ვით შმაგი ლომი დაქრილი, მწარე მორბის, მობღავის, ყვირის, ღრიალებს.“

(იქვე, გვ. 514)

სადაც ლამაზსა არაგვსა აქვს „ზვირთთა ლაინი ჩქერანი გააფრებულსა ტალასა კლდეს რო წაუყლენ თქერანი“...

(ვაჟა ფშაველა „არაგვს“, ტ. 2. 9 გვ.)

სადაც „... ხან რომ ცა მოიდრუბლება, ჩაბნელებიან ხეები, გაიწილება მებთა ტკრიცალი ათროლდებიან ხეები, კლდეებზე დაიკეცება

მა იმედმა არ მოგვატყუა. საბჭოთა მთავრობამ რომელმაც სწორი გზი აიღო ეროვნულ საკითხში და თავისუფლად აძლევს საშუალებას ყველა წვრილ ერებს განხორციელონ თვითმპყროვეობის პრინციპი—განამართლა ჩვენი მოლოდინი. საქართველოს ებრაელები მრავალი საუკუნეების განმავლობაში დაჩაგრული იყავით კულტურულ ფრონტზე. არ გვეძულება მიუღ აზიაში რომელიმე ხალხი, რომელსაც არ გაესწროს ჩვენთვის გონებრივად იმ დროს, როდესაც ევროპელი და ამერიკელი ჩვენი მოძებნი ყველგან მოწინავე რიგებში არიან.

ჩვენი სალათას ძილი და მრავალ საუკუნეებრივი სიბნელე არავისთვის არ შეადგენს გამოცანას და აი სწორედ, როდესაც სწავლა-განათლების კომისარიატს წარედგინა თხოვნა საქართველოს ებრაელთა შორის სწავლა-განათლების და ებრაული კულტურის გამავრცელებელი საზოგადოების „თარბუთის“ დაარსების შესახებ,—მან სწოთ რა აუცილებელ საქართველად სასწრაფოდ ამ წრის დაარსება,—მისცა ნებართვა და დაამტკიცა „თარბუთი“.

ეს დიდმნიშვნელოვანი ფაქტია ჩვენს ცხოვრებაში. ამით მიძინებული ნერვები საქართველოს ებრაელთა მოწინავე პირებისა—თუმცა ზანტად, მაგრამ მაინც შეირყა...

შეირყა, რადგანაც მათაც იგრძნეს, რომ ცოტაოდენი სიჩუქე კიდევ მათ უქადდა უფსკრულთან ვაზზე გადაჩებას...

გაღის 3—4 თვე ამ წრის დამტკიცების შემდეგ და ისევ გამოუჩვევე ნისლითაა მოცული ყველაფერი. დღემდე გრძელდება რაღაც იდუმალი სიჩუქე, რომელიც უფრო საშიხლად მოქმედობს პროვინციის ებრაელებზე, ვინაიდან, პროვინციის ებრაელები ჩაგარდნილი ვართ ყოველი მხრით უმწყო მდგომარეობაში. დაუმატეთ ამის ეს ცენტრის მონაკვირებული სიჩუქე და ყველა ეს საკმარისი იქნება, რომ მოგვიწამლოს ატმოსფერო ენერგიით საქვე პროვინციის ახალგაზრდა ებრაელებს.

დიდს ალტაცებით და სიხარულით გადავიკითხეთ ამ ორი კვირის წინედ ვაზეთ „კომუნისტის“ № 176-ში ჩვენი უფროსი ამხანაგის პარტიკულური დავით ბაზოვის წერილი: „ეროვნულ უმცირესობათა საკითხი და საქართველოს ებრაელები“, რომელშიდაც ის მოითხოვს საქართველოს ებრაელთათვის ეროვნულ-კულტურულ ავტონომიას. წერილთან ერთად სიამოვნებით გადავიკითხეთ მ. ორახელაშვილის პასუხი, რომელშიდაც აშკარადა სჩანს საბჭოთა მთავრობის დანტერესება ჩვენი საკითხით.

„საქიროა საერთო ფერხულში ჩაბმა, საერთო საბჭოთა ოჯახის მომჭმედ [და შემომჭმედ წვერად ვახდომბა, დაახლოვება, შეკავშირება ყველა ერის მშრომელებთან, ეროვნულ კულტურულ და თუ გნებავთ ეროვნულ გამოზობრივ თავისებურების დაცვით. ყოველ შემთხვევაში საქიროა ამ საკითხის შესახებ ებრაელ მშრომელებმა გამოსთქვან თავიანთი აზრი და სურვილები, რაც საქიროა მათი კულტურულ ამადლებსათვის საბჭოთა მთავრობა არ უდაიშურებს.“ (ხაზი ჩვენი).

სვავთა და არწივთ ფრთები“.

(იქვე გვ. 10.) ბედნიერა ვარ რომ საშუალება მეძლევა აღნიშნულ სამეცნიერო ეკსპედიციის წყალობით ამ დიდებულ მოგზაურობის შესახებ ჩემი აზრები და მიღებული გრძნობა—შთაბეჭდილებანი გაუზიარო ყველას და ყველას, ნაცნობ და მეგობარს, უცნობს და ამხანაგს, მთელს საქართველოს, მის მშრომელ ხალხს, ჩვენს ახალგაზრდობას, ერთი სიტყვით ყველას, ვისაც უყვარს და არ უყვარს ბუნება მისი სამშობლოსი.

და თუ კი ჩემი შთაბეჭდილება ვისმეს აღუძრავს მყინვარისაკენ ლტოლვის სურვილებს, თუ კი ვინმე მოწადინებული ბუნების სიდიადის ხილვით, გაემგზავრება მყინვარისაკენ, ყოველი ცნობა ჩვენს თანამომძეთა შესახებ, ვინც კი მყინვარისაკენ გაემგზავრება; იქნება ჩემთვის საუკეთესო გრძნობათა აღმძვრელი და მასთანვე უდიდესი ბედნიერება.

მართლაც და რა არის იმაზედ უკეთესი, როდესაც ზაფხულის თვეებში ქალაქის აფორაქებულ ცხოვრებას მოცილებული, შორს მყოფი აგრეთვე ახმურებულ საავარაკო ადგილებიდან, რომელიც თავის ცხოვრებით იგვევ ქალაქია, მოცილებული ცხოვრების ღებქირ პირობებს, მგზავრობ შორეულ მთებში, შენი ქვეყნის ულამაზეს ბუნების წიაღში. გრძნობ რომ იზრდები გულით, იზრდები სულით, ეფარდები ბუნების მკაცრს მოთხოვნილებებს, ვიტაცებს მისი სიდიადე, გრძნობ თავს ზეკაცად, უმთავრესად მაშინ, როდესაც ღრუბლები შენს ქვეშ დადიან და მდგარი მთის მწვერვალზე გადასცქვრი ირგვლივ შორს საქართველოს ნახსა, მასთანვე მკაცრს და მშვენიერ ბუნებას.

პროფესორ ა. დიდებუმიძის მეთაურობით მყინვარზე მიმავალ სამეცნიერო ეკსპედიციაში სრულიად შემთხვევით მოგვხვდა.

ვიცოდით რომ პროფ. ა. დიდებუმიძის სამეცნიერო ეკსპედიცია მიემგზავრებოდა მყინვარისაკენ, ვიცოდით აგრეთვე რომ ყოფილი შევარდნებიც, აწპარტაკელნი გიორგი ნიკოლაძის მეთაურობით ეპირებიან მყინვარზე ასვლას. მაშინათვე დამებადა აზრი მყინვარზე გამგზავრების შესახებ. შევხვდი გიორგის განათლების კომისარიატში, სადაც ექსპედიციის საქმეების გამო იმყოფებოდა პროფ. ა. დიდებუმიძე.

გიორგის აზრი, რათა მე წავეყოლიდი პროფ. დიდებუმიძის სამეცნიერო ეკსპედიცია—ამას მოი-

და აი სწორედ წერილის დასასრულში ჩვენ გვესწროს მოგმართოთ „თარბუთის“ დაარსებას:

ძვირფასო ამხანაგებო, ჩვენს დასაწყისში რომლებმაც ჩაუყარეთ ნაფუძველი ამ დიდ საკულტურო საქმეს და უთავფთ დანგრეულ გემს, რომლითაც მიეჭენებოდით ჩვენ ყველანი ერთად და ლუგვისკენ, მაგრამ არ დადავიწყდეთ, რომ არ კმარა მეთაურობის დაწყება.

სამი ოთხი თვეა ჩვენ აღარაფერი ვიცით რამედი ეწვია „თარბუთს“.

თქვენ, ძვირფასო ამხანაგებო, იცით, რომ პროვინციის ებრაელობა თქვენ შემოკლებით და თქვენგან ელის სულიერ შევლას?

იცით, რომ თუ არა ესა, შემდეგში დაგვიანებული იქნება და საქართველოს ებრაელებს მოეღლის კატასტროფა?

იცით, რომ ისე არასოდეს, როგორც ესლა საქიროა „თარბუთის“ მუშაობა, რომელშიაც უნდა ჩაებას კაცი და ქალი, დიდი-პატარა და რომელშიცაღა მუშაობა უნდა მიმდინარეობდეს მძლავრი ინტენსივობით და ელექტრო სისწრაფით?

იცით,—თუ ყველაფერი დაიღუბება,—რომ თქვენ ქენებით პასუხისმგებელი თქვენი ერისა და მიუჭერებელ ისტორიის წინაშე?

მაშ რად სდგებართ, რად დადუმებულხართ რა მიზეზი თქვენის იდიფერენტისისა? დრო აღარ ითმენს, გაკავფეთ გზა და ჩვენ გამოგყვებით უკან გაგვიძებნით წინ და ჩვენ მოგყვებით სრული ნდობით. გადმოიხედეთ პროვინციებისკენ და თქვენს შეგვხედვით ათასი თვალბი, რომლებიც თქვენკენ იციქობიან აღსასვე ნდობით და იმედობით.

ჩვენ ვიცით და გვწამს, რომ თქვენ ღრმად განტერესებთ ჩვენი მოძიების ბედი და ამიტომ მოგმართავთ მოწოდებით, რომ კმარა ძილი, დროისარგებლობით იმ უსუსებებით, რომლებიც ჩვენთვის მოუნიჭებიათ!

საქიროა გულწრფელი პასუხი.

საქიროა ერთხელ და სამუდამოდ შევიგნოთ, რომ დადგა დრო, როცა სინათლის ქუჩაზე ყველას ექნება საშუალება შეაჩინოს და გაარჩიოს ბნელეთიდან ამოსული, ფერმკრთალი საქართველოს ებრაელი, რომელსაც მტკიცედ უჭირავს ხელში დროსა კულტურისა და პროგრესისა.

სამი ახალგაზ. ებრაელი.

წერილავი კაპროგრაღიდან

(საკუთარი კორესპ.) (დასასრული)

უმუშევართა რაოდენობა პეტროგრაღში შეეხებთ რა მუშათა მდგომარეობას არ შეგვიძლიან გვერდი აუაროთ უმუშევართა საკითხს პეტროგრაღში. წარსულ წელს და მიმდინარე წლის პირველ მეთხედამდის უმუშევართა რაოდენობა განსაკუთრებულ ციფრებს აღწევდა, დაახლოებით 200 ათას ხულს, ვეფით რაოდენობა, როგორც გამორიკვა დამოკიდებული იყო იმ შეღავათებზე, რომელსაც იძლეოდა შრომის ბირჟის ფურცელი. ბირჟაში ვისაც-კი სურდა ის იწერებოდა „ნებმან“—იღან-

თხოვდა საქმის ვითარება, მე სიამოვნებით მივიღე და იქვე მოველაპარაკეთ პროფ. დიდებუმიძეს, რომელიც თანახმა ვახდა ჩემი მიღებისა ეკსპედიციაში, მხოლოდ უკანასკნელი პასუხი უნდა მიმეცორო დღის განმავლობაში. საქირო იყო საქმის მოგვარება სამსახურში, სახელდობრ ფაკულტეტ ქირურგიული კლინიკაში, რომლის ზეფუროსი პროფესორი ა. მაკაფარიანი დასთანხმდა ჩემს გამგზავრებას მყინვარზე და მეც შეუდექი სათანადო მომზადებას. მიგვეზობოდი ეკსპედიციის როგორც მკურნალი, ასე რომ უნდა მერხუნა სამკურნალო ნაწილის მოგვარებისათვის.

ეკსპედიციის ყველა წევრები—15 კაცი—თანხმად ეკსპედიციის უფროსის განკარგულებისა და ნიშნულ დღეს უნდა შეგკრებილიყავით ფიზიკური ობსერვატორიის საკრებო დარბაზში წინასწარ მოლაპარაკებისათვის. სხდომის მსვლელობის დროს ეკსპედიციის წევრებს თავლ წინ წარმოგვიდგას ის მნიშვნელობა, რომელსაც ქართულ მეცნიერების მსვლელობაში წარმოადგენს ეს ეკსპედიცია მყინვარზე.

წარმოგვიდგა ყველა ის დაბრკოლება, რომელიც აუცილებლად გადალახული უნდა იქნეს სამოლო მიზნის მისაღწევად; წარმოგვიდგა მნიშვნელობა იმ დაწყებულების, რომელსაც სახელმძჭვეია „საქართველოს ფიზიკური ობსერვატორია“. საქართველოს ფიზიკური ობსერვატორია არის რესპუბლიკის სამეცნიერო გამოყენებითი ცენტრალური დაწესებულება, რომელიც საქართველოში და მის მოსაზღვრე ქვეყნებში აწარმოებს მეცნიეროლოგიური, კლიმატოლოგიური, ხეისმურ, გეგნეტურ და სხვა გეოფიზიკურ დაკვირვებებს და გამოკვლევებს, რასაც ობსერვატორიის ყოველთვიური ბიულეტენებში და მარტიანეში აქვეყნებს.

თუ რა ღირებულება აქვს ობსერვატორიის მუშაობას და მასთანვე რამდენად ნაყოფიერია მისი მუშაობა, აგრეთვე საქართველოს ეკონომიური და კულტურული განვითარებისათვის თუ რა განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს აღნიშნულ მუშაობას, საქმარისია რამოდენიმე მაგალითს მიუთითოთ, ობსერვატორიის თანწყობრივ და გულმოდგინე მუშაობამ მოგვცა ის მასალა, რომლის მიხედვითაც გამოიკვეა ჩაისა და ბამბის მოშენების შესაძლებლობა. ბამბა და ჩაი ხომ სავალიუტო საქმენლია.

შემოხსენებულ მასალათა მიხედვით გიმორიკვა აგრეთვე უმაღლეს ხარისხის თუთუნის მოშენე-

ქობის შემაღლება უღალად.
 ადვილ სამუშაოზე ერთის შემაღლე მოხერხდება.
 უღელი უნდა იქნეს რძელი: როგორც არის ცხენების ხომალტი.
 ცალ უღელს აკეთებენ ქუთაისში; იცის აგრონომია.
 ქობის მუშაობა უნდა დააწყებოდნ პირველი ხბოს შემდეგ.

პირველად უნდა შეუბა მომუშავე ქობასთან იოლ სამუშაოში ცოტა ხნით ნახევარი ან ერთ საათით.
 შემდეგ, მეორე დღეს მარტო ერთ ან ორ საათს; ამგვარად ის მუშაობას მალე შეეჩვევა.
 სიცხეში არ უნდა ამუშაოთ.
 უნდა არილო აგრეთვე მუშაობას ცუდ და ტალახთან გზაზე.

სახალხო სახლის ქართული დრამა.

ამ თვის 8-ს შესდგა სახალხო სახლთან არსებულ ქართული დრამის მსახიობთა საზოგადო კრება. კრების დღიურ წესრიგში იყო შემდეგი საკითხები:

1. მოხსენება 1922—23 წლის შემოსავალ-გასავლის ანგარიშისა.
2. სარევიზიო კომისიის მოხსენება.
3. გამგეობის მოხსენება მომავალი სეზონის შესახებ.
4. საიუბილეო კომისიის მოხსენება.
5. გამგეობის არჩევნები.
6. მიმდინარე საკითხები.

წარსული წლის 1922—23 დასის შემოსავალ-გასავალ ანგარიშებზე მოხსენებას აკეთებს გამგეობის წევრი—ხაზინადარი კ. სალირაშვილი, რომლის შემდეგ სარევიზიო კომისიის სახელით მოხსენებას აკეთებს ს. რომანიშვილი. "მოხსენება კრებამ მუხლობრივ განიხილა. სარევიზიო კომისიამ აღნიშნა ზოგიერთი დეფექტი გამგეობის მოქმედებისა წარსულ სეზონში სხვა და სხვა მიზეზთა გამო, რამაც კამათი გამოიწვია და აზრთა გაცვლა გამოცვლის შემდეგ ზოგიერთი ცვლილების შეტანით მიიღო მოხსენება დამტკიცებულად. ამისთანავე სარევიზიო კომისია და თვით საზოგადო კრებაც მადლობას უცხადებს გამგეობის წევრს—ხაზინადარს კ. სალირაშვილს—უანგაროდ და წესიერ მუშაობისათვის.

მომავალ სეზონის შესახებ მოხსენებას აკეთებს ს. ტოროშვილი, რომელმაც აღნიშნა, რომ გამგეობის უკვე დასაბუთი აქვს გეგმა მომავალი სეზონისათვის. მოწვეულია ახალი რეჟისორი. განხილულია დასის შემადგენლობა, რეპერტუარი, ტენიკური პერსონალი და საერთოდ მიღებულია ყოველივე წინასწარი ზომები მომავალ სეზონისათვის.

ქობის მომუშაობის წესები

ამიერ-კავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა

„ამიერ-კავკასიის სოც. საბჭოთა ფედერატიული რესპუბლიკის სახელმწიფო დაწესებულებებში ენის ხმარების შესახებ“.

13 აგვისტო 1923 წ.
 რათა განხორციელებულ იქნეს ამიერ-კავკასიის ცენტრ. აღმასკომის მე-2 სესიის დეკლარაციის ძირითადი პრინციპები შესახებ „სახელმწიფო დაწესებულებათა ენისა და ეროვნულ უმცირესობათა უფლებების უზრუნველყოფისა“—ამიერ-კავკ. ცენტრ. აღმას. კომიტეტი ადგენს:

1. ცენტრ. აღმასრ. კომიტეტი და სახალხო კომისარია საბჭო ა.კ. ს. ს. ფ. რესპუბლიკისა აქვეყნებს კანონებს, დეკრეტებს, დადგენილებებს და სხვ. რუსულ ენაზე და სახელმწიფო ენებზე იმ რესპუბლიკებისა, რომელნიც შედიან ა.კ. ს. ს. ფედერაციაში—სომხურზე, ქართულზე და თურქულზე.
2. ცენტრ. აღმასკომი და სახკომ—საბჭო ა.კ. ს. ს. ფ. რესპუბლიკისა აწარმოებს მიწერ-მოწერას ცაკებთან, სახკომსაბჭოებთან და სახკომებთან იმ რესპუბლიკებისა, რომელნიც შედიან ა.კ. ს. ს. ფ. რესპუბლიკაში რუსულ ენაზე, პასუხს კი და აგრეთვე შეკითხვებს, მიმართვებს და სხვ. დებულებებს რუსულ ენაზე ან მოკავშირე რესპუბლიკის სახელმწიფო ენაზე.
3. მოქალაქეთ ყოველგვარი ქალაქი შეაქვთ ა.კ. ცაკებში და სახკომში ერთ-ერთ ენაზედ ზემოდ დასახელებულ ოთხ ენათაგან და პასუხს ლეზულობა მთხოვნელის მიერ არჩეულ ენაზედ.
4. ურთიერთობის ინას ნაციონალურ რესპუბლიკების ორგანოთა ცენტრალ საოლქო ორგანოებთან, გაერთიანებულ სახკომებთან და სამმართველოებთან აწესებს ცაკები სათანადო რესპუბლიკებისა.
5. ამა დეკრეტის გასაფართოებლად სახკომი ა.კ. ს. ს. ფ. რესპუბლიკისა გამოსცემს განსაკუთრებულ დებულებებს შესახებ ეროვნულ უმცირესობათა ენების ხმარებისა რკინის გზებზე, ფოსტატელეგრაფის დაწესებულებებში და კავკასიის ცალკე არმიისაში.

საქონლის განათიი ახალი პურსი

ს. ს. ს. რ. შრომის სახალხო კომისარიატიდან.
 აღრიცხულ პროდუქტთა ღირებულება 1923 წ. 15 აგვისტოსათვის.
 ა.კ. სახალხო კომისარიათა საბჭოს ა. წ. 17 მაისის დადგენილების № 52 საფუძველზე, ს. ს. ს.

გამგეობის მიერ გადადგმული ნაბაჯები კრებამ მიიწონა და დაადასტურა.

საიუბილეო კომისიის სახელით მცირე მოხსენება-განმარტება გააკეთა ნ. გერგესელი, რომელმაც გააცნო სახალხო დრამის 30 წ. იუბილის მდგომარეობა და აღნიშნა, რომ სახალხო განათლების კომისარიატის განკარგულებით იუბილე გადადგმულია მომავალ სეზონისათვის. საიუბილეო კომისია მაინც განაგრძობს მუშაობას, მაგალითად იბეჭდება საიუბილეო კრებულის, რომლის რამოდენიმე ფორმა უკვე დაბეჭდილია და სხ. კრება განმარტებით კმაყოფილი დარჩა.

შემდეგ მოხდა არჩევნები გამგეობის წევრებისა. გამგეობაში ერთ ხმად ფარული კენჭის ყრით არჩეულნი იქნნენ: ს. ახვლედიანი, ს. ტოროშვილი, ი. ვარაზაშვილი, აბელიშვილი, ნ. გერგესელი და კ. სალირაშვილი. სარევიზიო კომისიის წევრებად აირჩიეს: ს. რომანიშვილი, გ. ვარსიაშვილი, ა. თავდგირიძე.

მომავალ სეზონში რეჟისორად მოწვეულია მ. გვამიჩავა. ამისთანავე გამგეობას შეპირდა რეჟისორი კ. მარჯანიშვილი, რომ ორ თვეში ერთს წარმოადგენას დასდგამს.

ჩვენ გვატყობინებენ, რომ კომპოზიტორ ზაქარია ფალიაშვილს დაუმთავრებია აბასთუმანში თავისი ახალი ოპერა „დაისი“, რომლის ტექსტიც ვალ. გუნიას კალამს ეკუთვნის. ოპერის დადგმა განზრახულია მომავალი სეზონისათვის. ასე ნოემბერში ან დეკემბერში. მთავარი პარტიები უკვე მიმდგომარეობს დაირეგულირებულა. ოპერას დასდგამს რეჟისორი კოტე მარჯანიშვილი.

რ. შრომის სახალხო კომისარიატთან არსებული კომისია ამით აცხადებს, რომ აღრიცხულ პროდუქტთა ღირებულება 10 (ათი) მანეთის ფასობის კვალდება, ა.კ. შრომის სახალხო კომისარიატის საბიუჯეტო ინდექსის მიხედვით ა. წ. 15 აგვისტოსათვის განისაზღვროს 50,000,000 მან.

ამვე რიცხვისათვის საქონლის მანეთის ღირებულება განისაზღვროს 5,000,000 მან. ა. კ. ფულის ნიშნებში.

ს. ს. ს. რ. შრომის სახალხო კომისარიატის მოადგილე ა. მიქაძე.

დადგენილება № 104

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისარიათა საბჭოსი. სოციალური უზრუნველყოფის სახალხო კომისარიატისათვის დატარება-აღვების მონაპოვლის მინიჭების შესახებ.

საქ. სოც. საბ. რესპუბლ. სახ. კომისარიათა საბჭო ადგენს:

1. რესპუბლიკის მთელ ტერიტორიაზე ლატარია აღვრის მოწყობის უფლება მიენიჭოს მარტოოდენ სოციალური უზრუნველყოფის სახალხო კომისარიატს.
2. სოციალური უზრუნველყოფის სახალხო კომისარიატს ენიჭება უფლება თავის სასარგებლოდ გარდასდევინოს ლატარია-აღვრის მოწყობის ფულადი გამოსაღები იმ რაოდენობით, რაც დაწესებულ იქნება სოციალური-უზრუნველყოფის სახალხო კომისარიატის მიერ.
3. ლატარია-აღვრის მოწყობის ნებართვას გასცემს შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატი სოციალური უზრუნველყოფის სახალხო კომისარიატთან შეთანხმებით.
4. სოციალური უზრუნველყოფის სახალხო კომისარიატს დაევალება შინ. საქმეთა სახალხო კომისარიატთან შეთანხმებით შეიმუშაოს ლატარია-აღვრის მოწყობის წესები.
5. ლატარია-აღვრის მოწყობა, გარეშე ამა დადგენილებაში აღნიშნული წესისა და რიგისა, აღკრძალულია და დამნაშავე პასუხს აგებს სისხლის სამართლის კოდექსის 234 მუხლისამებრ.
6. დადგენილება ესე ძალაში შედის დღიდან მისი გამოქვეყნებისა.
 საქ. სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახ. კომ. საბჭ. თავმჯდ. შ. ელიავა.
 საქართ. სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახ. კომ. საბჭოს მდივანი ად. სალარიძე.
 1923 წ. აგვისტოს 9.
 ტფილისი—სასახლე.

რედაქტორი—სარედაქციო კოლეგია.
 გამომცემელი—მთავარი კომიტეტი.

ამიერ-კავკასიის რკინისგზების დამამართებელი

საქმის მართებელი

აუწყებს ყველა დაწესებულებებს, ორგანიზაციებს და სხვ., ვინც დაინტერესებულია შეშის გადაზავებით ვაგონებით ამიერ-კავკასიის რკინის გზის ფარგლებში, რომ წესები ხე-ტყის მარაგის მიღებისა გადასაგზავნად განსაზღვრულია სადგურებიდან გამგზავნა შორის ვაგონების განაწილებით, რომელიც (წესები) გამოქვეყნებული იყო № 177-ით ა. წ. ივნისის 8-ის თარიღით—ამიერ-კავკ. რკ. გზებზედ შემოღებულ იქნება შეშის გადაზიდვის საქმეში ამა წლის ენენისთვის პირველიდან 1924 წლის აპრილის პირველამდე. თათბირი გამგზავნათა მოწოდებით წინდაწინ იმის გამოსარკვევად, თუ რამდენი შეშის გადაზიდვა შეიძლება მომავალ თვეში, იწარმოებს საექსპლოატაციო განყოფილებასთან არსებულ გადაზიდვის ადგილობრივ ბიუროში ყოველი თვის ათში.

ნაჩვენები წესები შეშის გადაზიდვისა ხმარებაში იქნება ამ. კავკ. რკ. გზის შემდეგ სადგურებზედ: ფოთი, ლანჩხუთი, ქვალონი, მარტლისი, ნატანები, სუმბათოვი, ბორჯომი, თელავი, წნაორის-წყალი, ახტალა, იალობა, ხაშური, შავალი, ბამბაკი, აჯამეთი, ყარაიაზი, ბაღდათი, ხეთა, ქობულეთი, საგარეჯო, ქალაქი, მოლითი, ჯუმათი.

№ 392. 3—1

განცხადება

ზაქსის მუშაობისათვის საჭირო ნაძვის და შიჭვის შაბდავი ზომის მასალა:

- 1) ძელები სიგრძით 12 ადლი სისხო სიგანით სხვა და სხვა ზომის სულ 2800 ლერამდე.
- 2) ფიცარი—სხვა და სხვა ზომის სიგრძით 12 ადლი სულ 3173 ლერი.
- 3) ფინები სხვა და სხვა ზომის სიგრძით 12 ადლი სულ 1350 ლერი.
- 4) ნაგვერდული სიგრძით 12 ადლი სიგანით 5 გოჯი სულ 3000 ლერი.
- 5) შუაზე დახრებილი შორი სიგრძით 12 ადლი სხვა და სხვა ზომის სულ 250 ლერი.
- 6) მრგვალი ფიჭვის ან ნაძვის შორები ვიწრო, თავში 3 გოჯიდან 7 გოჯამდე სულ 1300 ლერი.

აღნიშნული მასალა უნდა იყოს ახალი ხის, სალი, უქიანო, არა ნაფუტარი, არა ხვეული, არა ნაქურდიანი, სწორი და სწორი ძევიანი.

ნაჩვენები მასალის მიწოდება შეიძლება ალბელ იქნეს ან მთლად ან ნაწილობრივ, ზომების შესახებ დაწერილებით ცნობების მიღება შეიძლება ზაქსის სამმართველოს სამსახლო ნაწილში, — აღმასკომის შერთა ოთახი № 12, ყოველ დღის 2 საათამდე.

აღნიშნული მასალის გასაცემად ზაქსის სამმართველო ნიშნავს 25 ამა აგვისტოს, დღის 12 საათ.

= შიჭვიბრებას =

და მსურველმა უნდა წარმოადგინოს წერილობითი დახურული განცხადება რომელშიაც უნდა იქნეს აღწუსებული, როგორც მასალის რაოდენობა, ისე მათი ზომა და ღირებულებანი ფრანკო ვაგონი სადგ. ავკალა ან საწყობი ზემო-ავკალაში ჩაბარებით.

შეჯობრებაში მონაწილეობის მიღების მსურველმა უნდა შემოიტანოს ზაქსის სალაროში წინდაწინ საწინდრის სახით 5 პროც. იმ მასალის ღირებულებისა, რომლის აღებაც შეჯობრებაში მონაწილეს სურს.

ფულის შეტანის ქვითარი უნდა იქნეს დართული განცხადებაზე. თუ შეკვეთა არ მიეცა, შენობის დაუბრუნდება დაუყოვნებლივ შემოტანილი თანხა.

განცხადების შემოტანის უქანასკნელი ვადა არის 25 აგვისტო, დღის 12 საათი.

ზაქსის სამუშაოთა უფროსი ინჟინერი ბ. ჭიჭინაძე.
 № 394. 1—3.

განცხადება

ზემო-ავკალის ჰიდრო ელსადგურის აგების სამუშაოთა უფროსის სამმართველო

ამით აცხადებს, რომ ა. წ. 28 აგვისტოს დანიშნულია

= შიჭვიბრებას =

იჯარით ასაღებათ ზაქსისათვის სამსახლო საწყობის ასაგებ სამუშაოთა, რომლებიც შესდგება:

- 1) ეკლიანი მავთულის ღობე ხუთ რიგთა ბოძებზე 1 საე. სიმალით საერთო მანძილით 45 გრძივი საყენისა.
- 2) მიწის ნაყარის პლატფორმა 0,5 საე. სიმალით და 5 საე. X 40 საე.
- 3) ქვის კედლები—ქირზე წყობით პლატფორმის ნაყარის დასამაგრებლად დაახლოებით 15 კუბ. საე.
- 4) ხის ფარდული ლითონის სახურავით ნივნივით სიდიდით გეგმის მიხედვით 4,5 X 15 საე. სიმალით 1,4 საე.
- 5) ხის შენობა საწყობისათვის ფიცრებიანი კედლებით ლითონის სახურავით გეგმის მიხედვით სიდიდით 4 საე. X 15 საე. და სიმალით 1,4 საე.
- 6) დროებით საცხოვრებელი შენობა ფიცრებიანი კედლებით და დახურული ყავრით ხის იატაკით და ქვით მთლიანად აგესილი შიგნით საერთო ასპარეზით გეგმაში დაახლოებით 50 კვ. სიმალით 1,7 საე.

ყველა სამუშაო შესრულებული იქნება ზაქსის მასალებით ხოლო ხელსაწყო უნდა იქნეს მოიჯარადრის.

სამუშაოთა შესრულების ვადა ერთი თვე ნახევარი.

იმ პირობა, რომლებსაც სურს აილოს აღნიშნული სამუშაოში მთლიანად, უნდა შემოიტანონ ამის შესახებ წერილობითი განცხადება დაწესებულ ნიმუშის ბლანკზე დახურულ კონვერტებში წარწერით: ზაქსის სამუშაოთა უფროსის 1923 წ. 28 აგვისტოს შეჯობრებისათვის; ამ რიცხვს განისწავნა კონვერტები.

ფასები აღნიშნული უნდა იქნეს ჩერვონციის მანეთებში.

ფულის გადახდა იწარმოებს ამიერ კავკასიის ფულის ნიშნებით სავადასახადო ქვითარის შედგენის დღის კურსით, რომელიც იქნება საფონდო ბიურის მიერ გამოცხადებულ.

განცხადებასთან დართული უნდა იქნეს ქვითარი ზაქსისათვის სალაროში საიჯარო თანხის 5 პროც. საწინდრად შეტანის შესახებ.

საწინდარი უძრავი ქონების სახით და სხ. ამგვარი მხედველობაში არ იქნება მიღებული და საწინდრის შეტანისაგან არაგინ არ იქნება განთავისუფლებული.

საწინდარი თანხები იმ ორგანიზაციების და პირების, რომლებსაც არ მიეცემათ სამუშაო დაუყოვნებლივ დაუბრუნდებათ შეჯობრების შედეგების გამოკვეთისთანავე.

საწინდარი იმ პირისა, რომელმაც აილო სამუშაო, რჩება ზაქსისათვის სალაროში და შეესტული იქნება 10 პროც. საიჯარო თანხისა, პირველ გადასახდელ თანხებიდან 10 პროც. დაქვრით და დაუბრუნდება საეკონომი სამუშაოს დამთავრების შემდეგ.

ზაქსისათვის იტოვებს უფლებას გასცეს სამუშაო არა უმცირეს ფასებშიც, მიიღებს რა მხედველობაში მოიჯარადრის წინანდელ მუშაობას, მის გამოცდილებას და მის მიერ სამუშაოს წესიერად შესრულებას.

ვრცელი პირობებისა და ნახაზების გაცნობა შეიძლება ზაქსის ტენიკურ განყოფილებაში ყოველ დღე, დღის 10—12 საათამდე (ქ. ტფილისი ლ. დუმბაძეს ქუჩა სახლი № 3).

იქიდანვე გაიცემა დაწესებულ ნიმუშის ბლანკები განცხადებისათვის.

ზემო-ავკალის ჰიდრო ელსადგურის აგების სამუშაოთა უფროსი ინჟინერი ბ. ჭიჭინაძე.
 № 393 3—1